PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“
„კომპიუტერული ქსელი და სისტემების"
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის
სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები: გიორგი ნაჭყეპია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

■ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

☐ მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის **2021 წლის 1 დეკემბრის №1288923** ბრძანებით, სსიპ - კოლეჯი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ (შემდგომში - კოლეჯი) 2021 წლის 17 დეკემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. წარმოების მიზანს წარმოადგენდა **,,კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა და ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება.** ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეხვედრა გაიმართა წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

-

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

VII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	13.06.2018 (ბრძანება N183) ცვლილება 16.11.2021 N322
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, გ.ფანჯიკიძის N3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური და დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	180
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთვევაში)	84
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	შეესაბამება	შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებას ,,საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ინტეგრირება, გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმიდან, მიზანი - 1, ამოცანა 1.2 პროგრამების გადახედვა/განვითარება.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, როგორც პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე, ისე - ინტეგრირების შემთხვევაში. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ა) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება; ბ) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო ზოგადი განათლება.

3. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით სსიპ კოლეჯი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (180 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 84 ინტეგრირებული) განისაზღვრა კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მისაღებ სტუდენტთა კვოტას თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვროს შემდეგი პარამეტრებით: ა. მოდულ(ებ)ის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო; ბ. მოდულ(ებ)ის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა; გ. საწარმოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის რესურსი; დ. პროგრამის ხანგძლივობა. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაანგარიშების დროს იხელმძღვანელეს აღნიშნული მეთოდოლოგიით და განსაზღვრეს, რომ დარგობრივი მოდულების სწავლება იწარმოებს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სათანადოდ აღჭურვილ სასწავლო სახელოსნოში, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის„მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ ინტეგრირებული მოდულების ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სწავლება განხორციელდება შესაბამისი აღჭურვილობის მქონე სივრცეებში (ლაბორატორიებში) ორ ცვლაში.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული რესურსები (ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ სსიპ კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება პროფესიული კოლეჯის დირექტორის პრეროგატივაა, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდების, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა, რაც ნიშნავს, რომ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ კოლეჯს შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის აქტით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი ,, კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მოდულური მიდგომით ახორციელებს 2018 წლიდან, ხოლო 2021 წლისათვის ასევე დუალური მიდგომით, აღნიშნული განაცხადით ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება, ამასთან წარმოდგენილია განაცხადი ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია განაცხადის გაზრდა 84 სტუდენტით ინტეგრირებული ჯგუფებისათვის (6 - 14 კაციანი ჯგუფი) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიებში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (სულ 180 პროფესიული სტუდენტი,) გათვალისწინებით. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორებთან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, შპს ,,ახალი ქსელები“, შპს ,,ორიენტ ლოჯიკი“ შპს ,,სქაი ჰაი“ შპს ,,გრინნეტი“ შპს ,,სმარტ ლოჯიკი“. დუალური მეთოდით პროგრამა ხორციელდება ასევე პარტნიორის ბაზაზე (შპს - Cloud 9) რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (180 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

2. ,,კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 29 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი ინტეგრირებული ჯგუფებისთვის) ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებელთა თაობაზე დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადის დანართის სახით, ასევე, ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან კონკურსის/გასაუბრების გზით, ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. რაც დასტურდება პირადი საქმეების შესწავლითა და მათთან გასაუბრებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია პროგრამასთან ერთად ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ადაპტირებაში, იცნობს მოდულის სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმების და შეფასების ინსტრუმენტებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე ხელმისაწვდომისა კოლეჯში არსებული ნებისმიერი კომპიუტერიდან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და ზოგად მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში - ელექტრონულ მატარებელზე. ასევე, ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს საჭიროების შემთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მასალის ადაპტირების ფუნქცია.

7. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილებს და ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი (5).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით;
- დაწესებულების ბიუჯეტით;
- ინტერვიუირებით;
- დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

13.01.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: